



ქვეყანა: საქართველო

პროექტი: ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ფაზა III და IV – წყალარინების ზონა IV და გონიოს წყალმომარაგება

თარიღი: 19 თებერვალი, 2019

სატენდერო ნომერი.:BAT IV - C4

ბათუმის მუნიციპალიტეტმა მიიღო „ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურის ფაზა III და IV რეაბილიტაციის“ პროექტის ხარჯების დაფინანსება KfW ბანკისგან და მიზნად ისახავს, რომ დაფინანსების ნაწილი გამოიყენოს „წყალარინების ზონა IV და გონიოს წყალმომარაგების“ კონტრაქტის გადახდების დასაფარად.

ბათუმის მუნიციპალიტეტი იწვევს დაინტერესებულ მენარდეებს სატენდერო განაცხადის დალუქულ მდგომარეობაში წარმოსადგენად

(1) 3 დამოუკიდებელი გრავიტაციული წყალარინების სისტემების PP და GRP მილებით მშენებლობაზე ბათუმის ტერიტორიაზე :

- a. წყალარინების „A“ სატუმბ სადგურში შემავალი სადრენაჟო სისტემის მოწყობა/განვითარება: DN200-დან DN500-მდე 6 კმ მილის მოწყობა სახლთა დაერთებებით.
- b. წყალარინების „B“ სატუმბ სადგურში შემავალი სადრენაჟო სისტემის მოწყობა/განვითარება: DN200-დან DN600-მდე 8 კმ მილის მოწყობა სახლთა დაერთებებით.
- c. წყალარინების „E“ სატუმბ სადგურში შემავალი სადრენაჟო სისტემის მოწყობა/განვითარება: DN200-დან DN700-მდე 19 კმ მილის მოწყობა სახლთა დაერთებებით.
- d. სახლთა დაერთებები მოიცავს წყალარინების დამაკავშირებელ მილმდენისა და სახლთა დაერთების ჭების მოწყობას; აბონენტთა ინდივიდუალური დაერთება განხორციელდება მესამე მხარის მიერ.

(2) 282 ლ/წმ სიმძლავრის წყალარინების სატუმბი სადგურის (PS E) მშენებლობა.

(3) 800 მეტრი სიგრძის წყალარინების საწნეო ხაზის მოწყობა DN500 მმ დიამეტრიანი ფოლადის მილით.

- (4) სასმელი წყლის გადამცემი ხაზის მოწყობა ძირითადად გარეუბნებში, DN450 მმ (3 კმ) და DN350 მმ (6კმ) ლითონის მილებით, აქედან 0,4 კმ სიგრძის მილი უნდა მიმაგრდეს ხიდზე.
- (5) 2 x 1000 მ³ რკინა-ბეტონის წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა, რეზერვუარის ფუნდამენტი დაეყრდნობა ხის ხიმინჯებს.
- (6) სასმელი წყლის ქსელის მშენებლობა სახლთა დაერთებებით:
- a. პირველადი ქსელი (7.5 კმ PE-HD OD 160-დან St DN 300-მდე) სახლთა დაერთებით;
 - b. მეორადი ქსელი (5 კმ PE-HD OD 110-დან 160-მდე) სახლთა დაერთებით;
 - c. მესამეული ქსელი (2.5 კმ PE-HD OD 63-დან 110-მდე) სახლთა დაერთებით;
- (7) სახლთა დაერთება მოიცავს მხოლოდ სახლთა დაერთების ურდულებს და სამომხმარებლო ხაზის მოწყობას; ინდივიდუალურ სახლთა დაერთებებს განახორციელებს მესამე მხარე; კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს სახლთა დაერთების დეტალური დიზაინი.

სამუშაოები იყოფა 11 სამუშაო ნაწილად, სადაც 4 ნაწილის მინიჭება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი გახდება არსებული ბიუჯეტით განაცხადის ღირებულების დაფარვა (მეორე რიგის სამუშაოების ნაწილები).

სამუშაოები უნდა დასრულდეს 2020 წლის პირველ ნახევარში - საკმარისი სამუშაო ძალა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მენარდეს მიერ!

ტენდერი განხორციელდება საერთაშორისო საკვალიფიკაციო სატენდერო პროცედურების მიხედვით, როგორც ამას ითვალისწინებს KfW-ს სახელმძღვანელო პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში - მასალების, სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებით.

დაინტერესებულ მენარდეებს დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეუძლიათ:

ბათუმის მუნიციპალიტეტი – პროექტის აღმასრულებელი სააგენტო

**ბატონი ჯაბა ტულუში
ბატონი ზაური ფატლაძე**

ტელეფონი: **+995 422 27 26 27**

ელექტრონული მისამართი: batumiproject@gmail.com; j.tugushi@batumi.ge;
jaba.tugushi@gmail.com

სატენდერო დოკუმენტების სრული კომპლექტის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი გახდება ზემოთ მითითებულ მისამართზე განაცხადის მიღებისთანავე. დოკუმენტები უფასოა. მენარდეებმა უნდა დაადასტურონ ელექტრონული სატენდერო დოკუმენტების მიღება წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხოლოდ დადასტურებული ელექტრონული ვერსიები ჩაითვლება დამქირავებლის მიერ გაცემულ სატენდერო დოკუმენტად!

საკვალიფიკაციო დოკუმენტები და განაცხადები მოწოდებული უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის ITB 22.1 მუხლში მითითებულ მისამართზე 2019 წლის **8 აპრილს, ორშაბათს, 11:00 საათზე**, საქართველოს დროით. დაგვიანებული საკვალიფიკაციო დოკუმენტი ან განაცხადი არ იქნება დაშვებული.

პირველ საჯარო სხდომაზე გაიხსნება მხოლოდ საკვალიფიკაციო დოკუმენტები მენარდეთა წარმომადგენლების თანდასწრებით (სურვილებისამებრ). მეორე საჯარო სხდომაზე გაიხსნება მხოლოდ იმ მენარდეთა განაცხადები, რომლებმაც დააკმაყოფილეს საკვალიფიკაციო კრიტერიუმები.

ყველა განაცხადს თან უნდა ახლდეს განაცხადის უზრუნველყოფის გარანტია.